საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-537

29/07/2022

ქ. თბილისი

ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე შპს „თათლიზე“ გაცემული და შპს „მაპაზე“ გადაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ანტკელიზე“ გადაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის N2-117 ბრძანებით შპს „თათლიზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც, „შპს „თათლიზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „მაპაზე“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის N2-117 ბრძანებით, გადაცემული არის შპს „მაპაზე“, გადაეცეს შპს „ანტკელის“.

2. შპს „ანტკელიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის N2-117 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მაპასა“ და შპს „ანტკელის“.

5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მაპასა“ და შპს „ანტკელის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი